აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 6

3 აგვისტო 2012 წელი ქ. ბათუმი

ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 39-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 40-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 72-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2012 წლის 3 აგვისტოს №01-19/842 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭოს შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“ (მის: ქ. ბათუმი, ხახულის ქ. № 2).

2. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა შესაბამის საოლქო

საარჩევნო კომისიას, კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიასთან და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ უსკოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტთან ერთად, უნდა წარუდგინოს ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯამრთელია ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

3. პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატის სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად უსკოში წარდგენილ უნდა იქნას ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელსაც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯამრთელია ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

4. კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა ყველა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატმა გარდა პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატისა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის უფლება აქვს ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრულ დაწესებულებაში.

6. დაევალოს ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრულ დაწესებულებას, კენჭისყრიდან არაუგვიანე მე-14 დღისა, უსკოში წარმოადგინოს წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეული ყველა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესახებ ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯამრთელია ან ნარკოტიკების მომხმარებელია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება.

7. დაევალოთ:

ა) საორგანიზაციო სამსახურს (ლ. ჩავლეიშვილს) ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრული დაწესებულებისათვის და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის ამ განკარგულების გაცნობა.

ბ). საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნება.

8. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

9. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია